

## შპს „ჯორჯია სი ვეის“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## სარჩევი

|                                                                     |    |
|---------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                                     | 2  |
| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება                  | 5  |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება | 6  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება            | 7  |
| განმარტებითი შენიშვნები                                             | 9  |
| 4. მარაგები                                                         | 14 |
| 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                       | 14 |
| 6. ფული და ფულის ეკვივალენტები                                      | 14 |
| 7. ძირითადი საშუალებები                                             | 14 |
| 8. სავაჭრო და სხვა დავალიანებები                                    | 15 |
| 9. შემოსავალი რეალიზაციიდან                                         | 15 |
| 10. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება                            | 15 |
| 11. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები                           | 16 |
| 12. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი                         | 16 |
| 13. ფინანსური ინსტრუმენტები                                         | 16 |
| 14. ფინანსური რისკის მართვა                                         | 17 |
| 15. გაუთვალისწინებელი გარემოებები                                   | 18 |
| 16. გადასახადები                                                    | 18 |
| 17. ნაშთები და უმადლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება          | 18 |
| 18. საქმიანობის უწყვეტობა                                           | 19 |
| 19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები                | 19 |
| 20. აღრე გამოცემული ფინანსური ანგარიშგების კორექტირება              | 19 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯორჯია სი ვეისის“ ჯგუფის ხელმძღვანელობას:

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯორჯია სი ვეის“ (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - ‘პირობითი მოსაზრების საფუძველი’ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ჯორჯია სი ვეისის“ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას ვერ დავსწავართ, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ ვრწმუნდებით ძირითადი საშუალებების სისრულეში, აკუმულირებული ცვეთისა და პერიოდის ცვეთის რაოდენობებში.

ჯგუფს არ ჩაუტარებია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან (რადგან დიდი ნაწილი საწვავია და გართულდა სრულყოფილი დოკუმენტაციის მოწოდება) და სიმრავლიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულებიყავით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით მარაგების ფიზიკურ არსებობასა და კონდიციაში. აუდიტის დაწყებისას 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ დიდი დრო იყო გასული, აქედან გამომდინარე ვერ მოხერხდა კლიენტის მიერ ინვენტარიზაციის განმეორებით ჩატარება და ჩვენი დასწრება. შესაბამისად, ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შვილობილი კომპანიისგან ვერ შევძელით დეტალური, სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღება ფინანსურ ჩანაწერებზე, შესაბამისად ვერ შევძელით ელიმინაციის ტრანზაქციების სისწორის დადასტურება დებიტორების და კრედიტორების ნაწილში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს “ჯი ემ ლოჯისტიკის” ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### **მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი**

ჯგუფის მენეჯმენტმა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება თავდაპირველად გამოსაქვეყნებლად დაამტკიცა 2022 წლის 26 დეკემბერს და აღნიშნულ ანგარიშგებაზე 2022 წლის 26 დეკემბერს ჩვენ უარი ვთქვით მოსაზრების გამოთქმაზე არასაკმარისი დოკუმენტაციის მოპოვების გამო.

2022 წლის 26 დეკემბრის შემდგომ, ანუ წინამორბედი ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენი დასკვნის გამოცემის შემდგომ, ჯგუფი აქტიურად დაუკავშირდა კლიენტებს, მომწოდებლებსა და სხვა დებიტორ-კრედიტორებს, მოიპოვა საჭირო დოკუმენტაცია. შედეგები ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში და გამოსაცემად მოამზადა განახლებული ანგარიშგება, რომელზეც ჩვენ მოვამზადეთ წინამდებარე განახლებული აუდიტორული დასკვნა. ადრე გამოცემული ფინანსური ანგარიშგების შეცვლისა და ხელახლა გამოცემის მიზეზები აღწერილია ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შესაბამის შენიშვნაში.

### **დამატებითი ინფორმაცია**

დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენი ვალდებულებაა, გავცნოთ მმართველობით ანგარიშგებას და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის თაობაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

### **მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

მმართველობის ანგარიშის გაცნობის შემდეგ და შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

### **მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები**

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-თან შესაბამისად, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გამოთქმის საფუძვლისთვის საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმომოხილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმომოხილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე აზრს გამოვთქვამთ, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბებს და ვადგებ, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაკლენთ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2023 წლის 15 მაისი



### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-თან შესაბამისად, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გამოთქმის საფუძვლისთვის საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე აზრს გამოვთქვამთ, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბებს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2023 წლის 15 მაისი




შპს „ჯორჯია სი ვეის“

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის  
(თანხები მოცემულია ლარში)


**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

|                                          | შენ. | 31-დეკ-2021       | 31-დეკ-2020       | 1-იან-2020        |
|------------------------------------------|------|-------------------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                          |      |                   |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>             |      |                   |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                     | 7    | 13,977,685        | 17,032,996        | 16,863,775        |
| ინვესტიციები                             |      | 64,010            | 64,010            | -                 |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |      | <b>14,041,695</b> | <b>17,097,006</b> | <b>16,863,775</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                |      |                   |                   |                   |
| ფული და ფულის ექვივალენტები              | 6    | 4,658,838         | 5,131,392         | 6,154,532         |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5    | 19,017,311        | 21,295,245        | 22,849,648        |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები           | 4    | 3,226,041         | 1,043,347         | 381,679           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |      | <b>26,902,190</b> | <b>27,469,984</b> | <b>29,385,859</b> |
| <b>სულ აქტივი</b>                        |      | <b>40,943,885</b> | <b>44,566,990</b> | <b>46,249,634</b> |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>           |      |                   |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 8    | 25,507,152        | 28,182,038        | 29,759,870        |
| საბაჟო და საგადასახადო ვალდებულებები     |      | -                 | 38,600            | -                 |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       |      | <b>25,507,152</b> | <b>28,220,638</b> | <b>29,759,870</b> |
| <b>კაპიტალი</b>                          |      |                   |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                       |      | -                 | -                 | -                 |
| აკუმულირებული მოგება/ზარალი              |      | 8,174,271         | 28,292,911        | 16,489,764        |
| უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი  |      | 1,326,846         | 2,027,269         | -                 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი     |      | 5,935,616         | (13,973,828)      | -                 |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |      | <b>15,436,733</b> | <b>16,346,352</b> | <b>16,489,764</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>     |      | <b>40,943,885</b> | <b>44,566,990</b> | <b>46,249,634</b> |

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 15 მაისს



მალხაზ ფოჩხუა  
დირექტორი

ლარისა წულაია  
მენეჯერი

შენიშვნები გვერდებზე 9-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

**შპს „ჯორჯია სი ვეის“**

**ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის**  
(თანხები მოცემულია ლარში)

**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

|                                          | შენ. | 31-დეკ-2021       | 31-დეკ-2020       | 1-იან-2020        |
|------------------------------------------|------|-------------------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                          |      |                   |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>             |      |                   |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                     | 7    | 13,977,685        | 17,032,996        | 16,863,775        |
| ინვესტიციები                             |      | 64,010            | 64,010            | -                 |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |      | <b>14,041,695</b> | <b>17,097,006</b> | <b>16,863,775</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                |      |                   |                   |                   |
| ფული და ფულის ექვივალენტები              | 6    | 4,658,838         | 5,131,392         | 6,154,532         |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5    | 19,017,311        | 21,295,245        | 22,849,648        |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები           | 4    | 3,226,041         | 1,043,347         | 381,679           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |      | <b>26,902,190</b> | <b>27,469,984</b> | <b>29,385,859</b> |
| <b>სულ აქტივი</b>                        |      | <b>40,943,885</b> | <b>44,566,990</b> | <b>46,249,634</b> |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>           |      |                   |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 8    | 25,507,152        | 28,182,038        | 29,759,870        |
| საბაჟო და საგადასახადო ვალდებულებები     |      | -                 | 38,600            | -                 |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       |      | <b>25,507,152</b> | <b>28,220,638</b> | <b>29,759,870</b> |
| <b>კაპიტალი</b>                          |      |                   |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                       |      | -                 | -                 | -                 |
| აკუმულირებული მოგება/ზარალი              |      | 8,174,271         | 28,292,911        | 16,489,764        |
| უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი  |      | 1,326,846         | 2,027,269         | -                 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი     |      | 5,935,616         | (13,973,828)      | -                 |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |      | <b>15,436,733</b> | <b>16,346,352</b> | <b>16,489,764</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>     |      | <b>40,943,885</b> | <b>44,566,990</b> | <b>46,249,634</b> |

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 15 მაისს

მალხაზ ფოჩხუა

დირექტორი

ლარისა წულაია

მენეჯერი

შენიშვნები გვერდებზე 9-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.




შპს „ჯორჯია სი ვეის“

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის  
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

|                                          | შენ. | 2021 წელი        | 2020 წელი          |
|------------------------------------------|------|------------------|--------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                 | 9    | 57,186,533       | 34,742,593         |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება | 10   | (54,894,551)     | (36,975,129)       |
| <b>საერთო მოგება</b>                     |      | <b>2,291,982</b> | <b>(2,232,536)</b> |
| <b>საოპერაციო ხარჯები</b>                |      |                  |                    |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | 11   | (2,360,750)      | (2,349,669)        |
| მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები     |      | -                | -                  |
| საგადასახადო ხარჯები                     | 11   | (603,029)        | (226,897)          |
| <b>სულ საოპერაციო მოგება</b>             |      | <b>(671,797)</b> | <b>(4,809,102)</b> |
| არასაოპერაციო შემოსავლები                |      | 24,860           | 24,275             |
| სხვა შემოსავლები                         |      | 116,211          | 1,109,887          |
| სხვა ხარჯები                             |      | -                | 1,289,325          |
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი  | 12   | 321,529          | 214,934            |
| <b>მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე</b>     |      | <b>(209,197)</b> | <b>(2,170,681)</b> |
| მოგების გადასახადი                       |      | -                | -                  |
| <b>წმინდა მოგება</b>                     |      | <b>(209,197)</b> | <b>(2,170,681)</b> |
| <b>სრული შემოსავალი / (ხარჯი)</b>        |      | <b>(209,197)</b> | <b>(2,170,681)</b> |

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 15 მაისს



მალხაზ ფოჩხუა  
დირექტორი




ლარისა წულაია  
მენეჯერი

შენიშვნები გვარდებაზე 9-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვარდებაზე 2-4.

**შპს „ჯორჯია სი ვეის“**

**ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის**

(თანხები მოცემულია ლარში)

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის**

|                                          | შენ. | 2021 წელი        | 2020 წელი          |
|------------------------------------------|------|------------------|--------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                 | 9    | 57,186,533       | 34,742,593         |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება | 10   | (54,894,551)     | (36,975,129)       |
| <b>საერთო მოგება</b>                     |      | <b>2,291,982</b> | <b>(2,232,536)</b> |
| <b>საოპერაციო ხარჯები</b>                |      |                  |                    |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | 11   | (2,360,750)      | (2,349,669)        |
| მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები     |      | -                | -                  |
| საგადასახადო ხარჯები                     | 11   | (603,029)        | (226,897)          |
| <b>სულ საოპერაციო მოგება</b>             |      | <b>(671,797)</b> | <b>(4,809,102)</b> |
| არასაოპერაციო შემოსავლები                |      | 24,860           | 24,275             |
| სხვა შემოსავლები                         |      | 116,211          | 1,109,887          |
| სხვა ხარჯები                             |      | -                | 1,289,325          |
| საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი | 12   | 321,529          | 214,934            |
| <b>მოგება / (ზარალი) დაბეგრამდე</b>      |      | <b>(209,197)</b> | <b>(2,170,681)</b> |
| მოგების გადასახადი                       |      | -                | -                  |
| <b>წმინდა მოგება</b>                     |      | <b>(209,197)</b> | <b>(2,170,681)</b> |
| <b>სრული შემოსავალი / (ხარჯი)</b>        |      | <b>(209,197)</b> | <b>(2,170,681)</b> |

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 15 მაისს

მალხაზ ფოჩხუა

დირექტორი

ლარისა წულაია

მენეჯერი

შენიშვნები გვერდებზე 9-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

**შპს „ჯორჯია სი ვეის“**

**ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის**

(თანხები მოცემულია ლარში)

**საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                                      | საწესდებო<br>კაპიტალი | აკუმულირებული<br>(ზარალი)<br>/მოგება | სხვა<br>რეზერვები<br>და<br>დაფინანსება | სულ               |
|------------------------------------------------------|-----------------------|--------------------------------------|----------------------------------------|-------------------|
| <b>ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>        | -                     | <b>16,489,764</b>                    | -                                      | <b>16,489,764</b> |
| საწესდებო კაპიტალი                                   | -                     | -                                    | -                                      | -                 |
| პერიოდის შედეგი                                      | -                     | (2,170,680)                          | -                                      | 1,530,950         |
| ცვლილება უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების<br>რეზერვში | -                     | -                                    | 2,027,269                              | 2,027,269         |
| <b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით</b> | -                     | <b>14,319,084</b>                    | <b>2,027,269</b>                       | <b>16,346,353</b> |
| საწესდებო კაპიტალი                                   | -                     | -                                    | -                                      | -                 |
| პერიოდის შედეგი                                      | -                     | (209,197)                            | -                                      | (209,197)         |
| ცვლილება უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების<br>რეზერვში | -                     | -                                    | (700,423)                              | (700,423)         |
| <b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით</b> | -                     | <b>14,109,887</b>                    | <b>1,326,846</b>                       | <b>15,436,733</b> |

შენიშვნები გვერდებზე 9-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

**შპს „ჯორჯია სი ვეის“**

**ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის**

(თანხები მოცემულია ლარში)

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>            | <b>2021 წელი</b> | <b>2020 წელი</b>   |
|------------------------------------------------------------|------------------|--------------------|
| მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე                                | (209,197)        | (2,170,681)        |
| <b>კორექტირება:</b>                                        |                  |                    |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                               | 2,192,417        | 2,211,219          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  | -                | -                  |
| წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან      | (321,531)        | (214,934)          |
| განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)                       | -                | -                  |
|                                                            | <b>1,661,689</b> | <b>(174,396)</b>   |
| <b>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                       |                  |                    |
| (ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში         | (2,182,694)      | (679,715)          |
| (ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში           | 1,915,879        | 3,850,718          |
| (ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდილ ხარჯებში                | -                | -                  |
| (ზრდა)/შემცირება მიღებულ ავანსებში                         | -                | -                  |
| ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში            | (2,144,287)      | (4,747,941)        |
| ზრდა/(შემცირება) სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში           | -                | -                  |
| (ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში               | (38,600)         | 38,600             |
| (ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში                        | -                | -                  |
| ცვლილება სხვა აქტივებში                                    | -                | -                  |
| <b>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                       | <b>(788,013)</b> | <b>(1,712,734)</b> |
| გადახდილი პროცენტი                                         | -                | -                  |
| გადახდილი მოგების გადასახადი                               | -                | -                  |
| <b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                | <b>(788,013)</b> | <b>(1,712,734)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>          |                  |                    |
| ინვესტიციები სხვა საწარმოში                                | -                | (64,010)           |
| <b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>              | <b>-</b>         | <b>(64,010)</b>    |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>             |                  |                    |
| <b>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</b>                 | <b>-</b>         | <b>-</b>           |
| უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე                               | 315,459          | 753,604            |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა</b> | <b>(472,554)</b> | <b>(1,023,140)</b> |
| <b>ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში</b>         | <b>5,131,392</b> | <b>6,154,532</b>   |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>          | <b>4,658,838</b> | <b>5,131,392</b>   |

შენიშვნები გვერდებზე 9-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.



## **განმარტებითი შენიშვნები**

### **1. ჯგუფის შესახებ**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს), საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტი შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის შპს „ჯორჯია სი ვეის“ (იგივე Georgia Sea Ways LLC) ჯგუფის მიერ (შემდგომში „ჯგუფი“).

შპს „ჯორჯია სი ვეის“ - დაარსდა 2017 წლის 31 მარტს. “Georgia Sea Ways” არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქალაქი - ფოთი, გეგიდის ქ. №20, ფ.5. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 415099020.

შპს „ჯორჯია სი ვეის“ 100% წილის მფლობელი არის რომან მორგენშტერნი, ხოლო დირექტორი მალხაზი ფოჩხუა.

შპს „ჯორჯია სი ვეის“ არის „პოლონია ტრედიდინგ“-ის (ID 581291) 100% ის მფლობელი 2020 წლის 20 იანვრიდან. შვილობილი კომპანიის რეგისტრაციის თარიღია 30 აგვისტო 2008 წელი. კომპანიის დირექტორია - იაჰაირა დე სელასი.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანია “ჯორჯია სი ვეის” ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის მიზანია მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვა საზღვაო გზით. გემის ძირითად პროცესებში და ამ პროცესების მენეჯმენტში ჩართულია კომპანია შპს “UkrFerry”, რომლის მხრიდანაც ხდება გემის მომარაგება ყველა საჭირო ინვენტარით, ეკიპაჟის საკვებით და შესაბამისი კალკულაციებს აწვდის „ჯორჯია სი ვეის“ რის საფუძველზეც ხდება თანხების ჩარიცხვა მისი მხრიდან, ასევე საწვავით რაც გულისხმობს საწვავის კომპანიების მოძიებას (უშუალოდ ანგარიშფაქტურების მოწოდება ხდება უკვე ამ კომპანიებისგან). თურქეთში საკვებით მომარაგებას შპს „UkrFerry“-ის ნაცვლად უზრუნველყოფს კომპანია BESTCHEM KİMYA A.Ş. კომპანიას ასევე ყავს სამი აგენტი: საქართველოში - U&G Agency, უკრაინაში - GLOBALTRANSPAROM, თურქეთში - “Dabkovic Deniz Acenteligi Nakliyat Ve Ticaret A.S.”, რომელთა მოვალეობაა ტვირთბრუნვის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლი, კოორდინაცია, დათვლა, ტარიფების გაკონტროლება, ყოველდღიური შესაბამისი ფაქტურების წარმოება, ყველა ტვირთბრუნვის შესახებ გემზე მოაწოდოს ინფორმაცია გემის მფლობელ კომპანიას, მომუშავე პერსონალის ცვლილებების შესახებ და ასევე ცდილობს შეამციროს ხარჯები და დრო შესაბამისი ოპერაციებისთვის. ტვირთი ძირითადად მოიცავს: ჭურჭლის, სამზარეულოს ან სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქციას და მათ ნაწილებს შავი ლითონებისგან, ლითონის "მატყლის", სამზარეულოს სარეცხი მანქანების, საწმენდი ან გასაპრიალებელი ბალიშები, ხელთათმანები და მსგავსი ნაწარმი შავი ლითონისგან, სხვა უქანგავი ფოლადისგან.

**წარსადგენი ვალუტა.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

### **2. ფუნქციონირებადი საწარმოს დამკვრები**

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო, უკრაინა და თურქეთი.

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების, გადაზიდვების და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. პანდემიას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის მნიშვნელოვან ოპერაციებზე და შესაბამისად მისი ეფექტი კომპანიის ფუნქციონირებადობაზე მინიმალური იყო.

2022 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, კერძოდ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა ომმა უკრაინასა და რუსეთს შორის გამოიწვია 6.4 მილიონზე მეტი უკრაინელის გადასახლება ქვეყნიდან და ასევე გამოიწვია

გლობალური საკვების ნაკლებობა. ამის ფონზე შემცირდა ტვირთბრუნვა, შეიზღუდა და გაჭირდა ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობა. თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სიტუაცია გამოსწორდება და ყველა საჭირო ღონისძიებას მიმართავს შეკვეთების მისაღებად და გადაზიდვების გასაგრძელებლად.

### **3. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**

#### **მომზადების საფუძველი**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რაც მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მენეჯმენტისგან მოითხოვს მსჯელობებისა და დაშვებების გაკეთებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპების გამოყენების პროცესში. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### **უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

კომპანიის ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“). ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ტრანზაქციებზე ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციონალურ ვალუტაზე კონვერტაციით სებ-ის წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც ფინანსური მოგება ან ხარჯი. წლის ბოლოს კურსი არაფულად ერთეულებზე არ ვრცელდება. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი ("USD") 1 = 3.2766 ლარი და ევრო ("EUR") 1 = 4.0233 ლარი (31 დეკემბერი 2019: USD 1 = 2.8677 ლარი და EUR 1 = 3.2095 ლარი). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ("USD") 1 = 3.2766 ლარი და 3.5040 ლარი.

#### **მარაგები**

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. კომპანიის ძირითადი მარაგები წარმოადგენს საწვავს, რომელიც გამოიყენება გადაზიდვების მომსახურებისას. მარაგები წარმოადგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

#### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ვადაგადაცილების პერიოდის მიხედვით კომპანიის მენეჯმენტის მიერ თითოეული დებიტორის კრედიტუნარიანობის შეფასების მიხედვით. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივი დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. კომპანია საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება მომავალში გადაიხედოს, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან მოლოდინზე, რომელიც ემყარება ყველა იმ ფაქტს, რომლის გარემოცვაშიც არის დაქვემდებარება

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### **გადახდილი ავანსები**

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

### **ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები**

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით. გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარგულირების საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

### **კაპიტალი**

კომპანიაში მეწილეებს საწესდებო კაპიტალი არ ჩაუდიათ. კომპანიამ სახსრები მოიპოვა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სახსრებით.

### **ლივიდენდები**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე ლივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ლივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

### **დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)**

წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

## **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან; აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას.

ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

## **დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

## **შპს „ჯორჯია სი ვეის“**

### **ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის**

(თანხები მოცემულია ლარში)

#### **პრემიები**

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

#### **შემოსავალი**

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება მიწოდებული მომსახურებიდან და გაყიდული საქონლიდან. იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული უნდა შეასრულდეს ხუთსაფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება



**შპს „ჯორჯია სი ვეის“**

**ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის**

(თანხები მოცემულია ლარში)

**4. მარაგები**

|                            | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2019 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| საწვავი                    | 1,308,476                 | 371,095                   | 128,221                   |
| სხვა მოკლევადიანი მარაგები | 1,917,565                 | 672,252                   | 253,458                   |
|                            | <b>3,226,041</b>          | <b>1,043,347</b>          | <b>381,679</b>            |

**5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

|                                          | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2019 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 16,051,513                | 21,295,246                | 22,849,049                |
| წინასწარ გადახდილი გადასახადი            | 177,957                   | -                         | 599                       |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 2,787,840                 | -                         | -                         |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    | <b>19,017,310</b>         | <b>21,295,246</b>         | <b>22,849,648</b>         |

**6. ფული და ფულის ეკვივალენტები**

|                                        | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2019 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში      | 191,614                   | 321,313                   | 3,238,437                 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში        | 285,249                   | 781,120                   | 132,143                   |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში         | 4,181,975                 | 4,028,959                 | 2,783,952                 |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>4,658,838</b>          | <b>5,131,392</b>          | <b>6,154,532</b>          |

ნაღდი ფული კომპანიას არ აქვს.

**7. ძირითადი საშუალებები**

|                                            | სატრანსპორტი საშუალებები | სულ                |
|--------------------------------------------|--------------------------|--------------------|
| <i>ისტორიული ღირებულება</i>                |                          |                    |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>19,647,116</b>        | <b>19,647,116</b>  |
| უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების<br>სხვაობა | 2,813,977                | 2,813,977          |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>22,461,093</b>        | <b>22,461,093</b>  |
| უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების<br>სხვაობა | (1,229,168)              | (1,229,168)        |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>21,231,925</b>        | <b>21,231,925</b>  |
| <i>დაგროვილი ცვეთა</i>                     |                          |                    |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>(2,783,341)</b>       | <b>(2,783,341)</b> |
| წლის ცვეთა                                 | (2,211,219)              | (2,211,219)        |
| უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების<br>სხვაობა | (433,537)                | (433,537)          |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>(5,428,097)</b>       | <b>(5,428,097)</b> |
| წლის ცვეთა                                 | (2,192,417)              | (2,192,417)        |

**შპს „ჯორჯია სი ვეის“**

**ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის**

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                            |                    |                    |
|--------------------------------------------|--------------------|--------------------|
| უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების<br>სხვაობა | 366,274            | 366,274            |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>(7,254,240)</b> | <b>(7,254,240)</b> |
| საბალანსო ღირებულება                       |                    |                    |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>16,863,775</b>  | <b>16,863,775</b>  |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>17,032,996</b>  | <b>17,032,996</b>  |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>              | <b>13,977,685</b>  | <b>13,977,685</b>  |

**8. სავაჭრო და სხვა დავალიანებები**

|                                                            | <b>2021 წლის 31<br/>დეკემბერი</b> | <b>2020 წლის 31<br/>დეკემბერი</b> | <b>2019 წლის 31<br/>დეკემბერი</b> |
|------------------------------------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან<br>წარმოქმნილი ვალდებულებები | 25,507,151                        | 28,182,038                        | 29,759,870                        |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>                   | <b>25,507,151</b>                 | <b>28,182,038</b>                 | <b>29,759,870</b>                 |

**9. შემოსავალი რეალიზაციიდან**

|                                                 | <b>2021 წელი</b>  | <b>2020 წელი</b>  |
|-------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან<br>მიღებული შემოსავალი | 57,186,533        | 34,742,593        |
| <b>სულ ამონაგები</b>                            | <b>57,186,533</b> | <b>34,742,593</b> |

**10. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება**

|                                                  | <b>31.დეკ.21</b>    | <b>31.დეკ.20</b>    |
|--------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება              | (50,646,703)        | (28,113,570)        |
| პირდაპირი ხელფასები                              | (2,807,198)         | (2,527,529)         |
| ტექნიკური ხარჯი                                  | (617,253)           | (1,005,131)         |
| სხვა ხარჯები                                     | (203,222)           | (1,524,314)         |
| დაზღვევა                                         | (164,178)           | (148,480)           |
| გადაზიდვის ხარჯები                               | (145,647)           | (865,320)           |
| მიმდინარე სარემონტო ხარჯები                      | (139,002)           | (356,299)           |
| სააგენტოს მომსახურება                            | (82,348)            | (81,680)            |
| იურიდიული ხარჯები                                | (58,040)            | (2,468)             |
| საბანკო ხარჯები                                  | (24,939)            | (33,324)            |
| საკომუნიკაციო ხარჯები                            | (6,021)             | (27,908)            |
| სარემონტო ხარჯები                                | -                   | (2,289,105)         |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>(54,894,551)</b> | <b>(36,975,128)</b> |

**შპს „ჯორჯია სი ვეის“**

**ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის**

(თანხები მოცემულია ლარში)

**11. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები**

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საგადასახადო და ხელფასის ხარჯები. ძირითადი ხარჯები სტრუქტურული ერთეულების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში:

|                                                  | 2021 წელი          | 2020 წელი          |
|--------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯები                   | (2,192,417)        | (2,211,219)        |
| შრომის ანაზღაურება                               | (90,130)           | (67,500)           |
| საბანკო ხარჯები                                  | (52,339)           | (17,163)           |
| საკონსულტაციო ხარჯები                            | (20,807)           | (49,501)           |
| საიჯარო ქირა (ოფისი)                             | (3,600)            | (3,600)            |
| მომსახურების ხარჯი                               | (907)              | (685)              |
| საკანცელარიო ხარჯები                             | (550)              | -                  |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები</b> | <b>(2,360,750)</b> | <b>(2,349,669)</b> |

**12. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი**

|                                               | 2021 წელი        | 2020 წელი        |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|
| დადებითი საკურსო სხვაობები                    | (1,846,750)      | (2,534,658)      |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები                   | 1,525,221        | 2,319,724        |
| <b>სულ მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან</b> | <b>(321,529)</b> | <b>(214,934)</b> |

**13. ფინანსური ინსტრუმენტები**

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

*ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით*

| ლარში                             | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2019 წლის 1<br>იანვარი |
|-----------------------------------|---------------------------|---------------------------|------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | 19,017,310                | 21,295,246                | 22,849,648             |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე | 4,658,838                 | 5,131,392                 | 6,154,532              |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>     | <b>23,676,148</b>         | <b>26,426,638</b>         | <b>29,004,180</b>      |

*ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით*

| ლარში                              | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 1<br>იანვარი |
|------------------------------------|---------------------------|---------------------------|------------------------|
| სესხები                            | -                         | -                         | -                      |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 25,507,151                | 28,182,038                | 29,759,870             |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>25,507,151</b>         | <b>28,182,038</b>         | <b>29,759,870</b>      |

#### **14. ფინანსური რისკის მართვა**

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

##### *ფინანსური რისკის ფაქტორები*

###### *ა) საბაზრო რისკი*

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

###### *უცხოური ვალუტის რისკი*

კომპანია განხორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა უცხოურ კომპანიებთან განხორციელებული გაყიდვებითა და შესყიდვებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე.

###### *ბ) საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიზნებისთვის ხდება თავის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით. რისკების მართვის მიზნით კომპანია ნაღდ ფულს კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განათავსებს. კომპანია მუდმივად აკვირდება კლიენტთა კრედიტუნარიანობას. სადაც შესაძლებელია, იგი მოიძიებს და იყენებს გარე საკრედიტო რეიტინგებს ან/და ანგარიშებს კლიენტთა შესახებ. კომპანიის პოლიტიკა ითვალისწინებს ურთიერთობას მხოლოდ კრედიტ უნარიან მხარეებთან. საკრედიტო პირობები მერყეობს 30-დან 90 დღემდე. მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზისა და კლიენტზე საკრედიტო ლიმიტის განსაზღვრის საფუძველზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოიშობა ბევრ მომხმარებელთან სხვადასხვა სფეროდან, ფართო გეოგრაფიულ არეალზე.

###### *სავაჭრო მოთხოვნები*

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნების შეფასება ხდება ინდივიდუალური მიდგომით ხანდაზმულობის და დებიტორის კრედიტუნარიანობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (ე.ი. წყდება მათი აღიარება), როცა აღარ არსებობს დაბრუნების გონივრული მოლოდინი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, კომპანია არ ხასიათდება რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით რომელიმე კონტრაგენტის ან საერთო მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ. მომხმარებლებთან არსებული წარსული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით ხელმძღვანელობა სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო ხარისხს დადებითად აფასებს.

###### *გ) ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადა დამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. ჯგუფს არ აქვს სასესხო ვალდებულებები, სავაჭრო ვალდებულებების დასაფარად კი საკმარისი ლიკვიდური აქტივები გააჩნია.

#### 15. გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტრალიზებული ეკონომიკური სტრუქტურა, რეგიონალური არასტაბილურობა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. კოვიდ19-ის სწრაფმა გავრცელებამ არსებითი გავლენა იქონია მრავალი ქვეყნის ბიზნეს გარემოსა და ეკონომიკაზე, მათ შორის საქართველოზე.

პანდემიის გამო იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ასევე, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხო მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესებაც.

მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

2022 წლის დასაწყისიდან დაწყებულმა ომმა რუსეთსა და უკრაინას შორის გამოიწვია ოპერაციების შეზღუდვა მრავალი უკრაინული კომპანიისთვის. თუმცა 2021 წელს ამას არანაირი გავლენა არ ჰქონია ჯგუფზე.

#### 16. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარსებულ ჯარიმები და საურავები. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტებები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

#### 17. ნაშთები და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

##### უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

|                       | 2020 წელი | 2019 წელი |
|-----------------------|-----------|-----------|
| ხელფასები და ბონუსები | 70,400    | 60,000    |

70,400

60,000

#### 18. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები. ჯგუფს აქვს წინა პერიოდებში აკუმულირებული მოგება. ხელმძღვანელობას არ აქვს სურვილი, შეაჩეროს ჯგუფის ოპერაციები და მზადაა, დამატებითი რესურსები მოიძიოს საჭიროების შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია აკმაყოფილებს განგრძობითი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის მანძილზე.

#### 19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ განაპირობა ჯგუფის ოპერაციების შემცირება 2022 წელს. თუმცა ჯგუფის სტრატეგიაა, ოპტიმალური გზები გამოიხატოს შეკვეთების მისაღებად და სერვისის შესასრულებლად. ხელმძღვანელობა არ აპირებს ორგანიზაციის დახურვას. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელი მოვლენები არ მომხდარა.

#### 20. ადრე გამოცემული ფინანსური ანგარიშგების კორექტირება

ჯგუფმა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება თავდაპირველად გამოსაქვეყნებლად დაამტკიცა 2022 წლის 26 დეკემბერს, რომელზეც ჯგუფის აუდიტორებმა 2022 წლის 26 დეკემბერს გასცეს დასკვნა, სადაც გამოხატეს მოსაზრებაზე უარი. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ჯგუფს არ ჰქონდა უცხოელი დებიტორებისა და კრედიტორებისგან, რომლებიც მის მთავარ დებიტორებსა და კრედიტორებს წარმოადგენენ, მიღებული სრულყოფილი დოკუმენტაცია, შესაბამისად, ვერ დასტურდებოდა სავაჭრო დავალიანებების ბალანსები, დებიტორული დავალიანების ბალანსები, შემოსავლები და ხარჯები პერიოდის განმავლობაში. 2023 წლის დასაწყისში ჯგუფი აქტიურ კავშირში იყო ამ მხარეებთან, მოიპოვა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, დააკორექტირა ანგარიშგება და განახლებული უწყისები წარუდგინა აუდიტორებს.

ამ განახლებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემასთან ერთად, ჩვენ ყველა მხარეს, ვისთვისაც მიწოდებული გვქონდა ადრე გამოცემული ფინანსური ანგარიშგება, შევატყობინეთ, რომ გამოვცემთ ახალ ანგარიშგებას და ყველასგან უკან გამოვითხოვეთ და მივიღეთ მათთვის ადრე მიწოდებული ფინანსური ანგარიშგება.



## **შპს „ჯორჯია სი ვეის“**

**კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება**

**2021 წლის 31 დეკემბერი**

## **ჯგუფის მიმოხილვა და ისტორია (ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის შესახებ)**

საერთაშორისო გადაზიდვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვები მისი ეკონომიურობიდან და უსაფრთხოების მაღალი კოეფიციენტიდან გამომდინარე. კომპანია “ჯორჯია სი ვეის” ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის მიზანია მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვა საზღვაო გზით გადაზიდვის ხელშეკრულებით.

შპს “ჯორჯია სი ვეის” დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 415099020. რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქალაქი - ფოთი, გეგიძის ქ., №20, ფ. 5.

შპს “ჯორჯია სი ვეის” 100% წილის მფლობელი და ბენეფიციარი არის რომან მორგენშტერნი, ხოლო დირექტორი მალხაზი ფოჩხუა.

შპს „ჯორჯია სი ვეისში“ დასაქმებულია ოთხი ადამიანი - ფოჩხუა მალხაზ (დირექტორი), სიხარულიძე მარინა (მენეჯერი), წულაია ლარისა (მთავარი ბუღალტერი), კირიანოვა ალექსანდრა (ბუღალტერი).

შპს “ჯორჯია სი ვეის” ოპერირებს ასევე შვილობილი კომპანია კორპორაცია „პოლონია თრეიდინგ“-ის (ID – 581291) მეშვეობით, რომლის რეგისტრაციის თარიღია 30 აგვისტო 2008 წელი. კომპანიის ბენეფიციარი არის რომან მორგენშტერნი, დირექტორი - იაჰაირა დე სედასი (2020-2021). შპს “ჯორჯია სი ვეისმა” 100%-იანი წილი შეიძინა „პოლონია თრეიდინგში“ 2020 წლის იანვარში.

შპს “ჯორჯია სი ვეის” „პოლონია თრეიდინგ“-ის 100% ის მფლობელია.

გემის ძირითად პროცესებში და ამ პროცესების მენეჯმენტში ჩართულია კომპანია შპს “UKRFERRY”, რომლის მხრიდანაც ხდება გემის მომარაგება ყველა საჭირო ინვენტარით, ეკიპაჟის საკვებით და შესაბამისი კალკულაციებს აწვდის „ჯორჯია სი ვეის“ რის საფუძველზეც ხდება თანხების ჩარიცხვა მისი მხრიდან, ასევე საწვავით რაც გულისხმობს საწვავის კომპანიების მოძიებას (უშუალოდ ანგარიშფაქტურების მოწოდება ხდება უკვე ამ კომპანიებისგან). თურქეთში საკვებით მომარაგებას შპს „UKRFERRY“-ის ნაცვლად უზრუნველყოფს კომპანია BESTCHEM KİMYA A.Ş. კომპანიას ასევე ყავს სამი აგენტი: საქართველოში - U&G Agency, უკრაინაში - GLOBALTRANSPAROM, თურქეთში - “Dabkovic Deniz Acenteligi Nakliyat Ve Ticaret A.S.”, რომელთა მოვალეობაა ტვირთბრუნვის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლი, კოორდინაცია, დათვლა, ტარიფების გაკონტროლება, ყოველდღიური შესაბამისი ფაქტურების წარმოება, ყველა ტვირთბრუნვის შესახებ გემზე მოაწოდოს ინფორმაცია გემის მფლობელ კომპანიას, მომუშავე პერსონალის ცვლილებების შესახებ და ასევე ცდილობს შეამციროს ხარჯები და დრო შესაბამისი ოპერაციებისთვის.

კომპანია “UKRFERRY” მიზნად ისახავს იმ ქალაქების საზღვაო ისტორიისა და კულტურის შენარჩუნებას რომელშიც ოპერირებს და საქმიანობის მსვლელობისას ადევნებს თვალს გარემოსდაცვით მთლიანობას.

## გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

ჯგუფის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით ჯგუფის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და გაცნობიერების/ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება.

კომპანიების საქმიანობას არეგულირებს მსოფლიო კანონმდებლობა საზღვაო გადაზიდვების შესახებ. კომპანია UKRFERRY რომელიც როგორც „ჯი სი ვეის“, ასევე მისი შვილობილის მენეჯმენტშია ჩართული, აღებული აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001:2000 2001 წლის 11 დეკემბერს, რაც ადასტურებს მის მაღალ ხარისხს, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს გადაზიდვის ვაჭრობის და სამგზავრო და ტვირთის გადაზიდვის სფეროში.

## კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია

შპს „ჯორჯია სი ვეის“ მის შვილობილ კომპანიასთან ერთად წარმოადგენს ერთიან ბიზნეს-ჯგუფს. შპს „ჯორჯია სი ვეის“ სრულად აკონსოლიდირებს შვილობილის ფინანსურ შედეგებს და წარადგენს ერთიანი ბიზნეს-ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შვილობილების ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან კონტროლის დაკარგვის დღემდე. „ჯორჯია სი ვეის“, რომელიც ფლობს კორპორაცია „პოლონიას“ 100%-ს, ასევე დაქირავებული ყავს მის მფლობელობაში არსებული გემი და მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი ნამეტი ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. „ჯორჯიან სი ვეის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. უკრაინა და თურქეთი.

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

2022 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, კერძოდ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა ომმა უკრაინასა და რუსეთს შორის გამოიწვია 6.4 მილიონზე მეტი უკრაინელის გადასახლება ქვეყნიდან და ასევე გამოიწვია ქვეყნების მომარაგება უკრაინული საქონლით და ნაწარმით. ამის ფონზე 2022 წელს შემცირდა ტვირთბრუნვა, შეიზღუდა და გაჭირდა ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობა. კომპანიის ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე არ აპირებს ორგანიზაციის დახურვას და გეგმავს რისკების საპასუხო ოპერაციების შემუშავებას.

**15 მაისი, 2023 წ.**

**დირექტორი**

**ბუღალტერი**

---

**მალხაზი ფოჩხუა**

---

**ლარისა წულაია**

განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

2022 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, კერძოდ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა ომმა უკრაინასა და რუსეთს შორის გამოიწვია 6.4 მილიონზე მეტი უკრაინელის გადასახლება ქვეყნიდან და ასევე გამოიწვია ქვეყნების მომარაგება უკრაინული საქონლით და ნაწარმით. ამის ფონზე 2022 წელს შემცირდა ტვირთბრუნვა, შეიზღუდა და გაჭირდა ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობა. კომპანიის ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე არ აპირებს ორგანიზაციის დახურვას და გეგმავს რისკების საპასუხო ოპერაციების შემუშავებას.

15 მაისი, 2023 წ.


დირექტორი

  
\_\_\_\_\_

მალხაზი ფორჩხუა



ბუღალტერი

  
\_\_\_\_\_

ლარისა წულაია